

სარბი ჯიჰია

მართი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ

ამჯერად აქ ქვეყნდება ერთი ფირმანი, რომლითაც ოსმალეთის ხონთქარი გივი ამილახვარს სამემკვიდრეოდ უბოძებს მაშინდელ სოფელ ცხინვალს. საბუთი დაწერილია 1728 წელს. ეს არის „ოსმალობის ხანა“, როდესაც თურქები რამდენიმე წლის განმავლობაში კონტროლს უწევდნენ აღმოსავლეთ საქართველოს. «XVIII საუკუნის მეორე მეოთხედი ქართლ-კახეთში განსაკუთრებული ძნელბედობის ხანა იყო. 1723 წლიდან თორმეტი წლის განმავლობაში ქვეყანა ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელს ატარებდა. 1735 წლის მიწურულში „ოსმალობა“ არა ნაკლებ მძიმე „ყიზილბაშობამ“ შეცვალა¹. „ოსმალობის ხანის“ შესახებ თურქული საბუთები საკმაოდ ბევრია ჩვენს სიძველეთ-საცავებში. ეს საბუთები საუკეთესო მასალაა საქართველო-ოსმალეთის ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა საკითხების შესასწავლად და, ამდენად, მათი მთლიანად გამოცემა მეტად სასარგებლო საქმე იქნებოდა.

ეს ჩვენი საბუთი დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. T. d. 55, ზომა—53×38,5 см, დაწერილია დივანის ხელით. ეს არის დედნიდან გადმოღებული პირი; დედანი არ შენახულა. საბუთის ტექსტი:

(1) طبق اصله الخطه نعمه ألقير اليه سبحانه و تعالى (2) السيد محمد طولى

القاضى بمدينة تفليس المحروسه (3) عفى عنه²

(1) نشان شریف عالیشان سامی مکان سلطانی طغرای غرای جهانستان

خاقانی حکمی اولدر که (2) دستور مکرم مشیر مفخم نظام العالم تفلیس والیسی وزرم

¹ ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, I. თბილისი, 1944, გვ. 177; აგრეთვე: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე. გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, I. თბილისი, 1958, 338.

² ეს დამოწმების ფორმულა იმის შესახებ, რომ პირი დედანთან სწორია, მიწერილი აქვს დოკუმენტის ტექსტს მარჯვენა აშიახე. დამოწმების ფორმულა, როგორც ეს მაშინ საერთოდ მიღებული იყო, არაბულ ენაზეა დაწერილი. დამოწმებას ხელს აწერს ალ-სეფიქ მეჰმედ ტულღი — ქალაქ თბილისის ყაზი, რომელიც ამ ხანებში ხშირად იხსენიება თბილისის შარა'ათის სასამართლოს ქუჯათებში (განჩინებებში). დამოწმების ფორმულას ხელწერის გარდა დასმული აქვს ბევრადი წარწერით محمد طولى (=მეჰმედ ტულღი. იხ. აგრეთვე საბუთი T. d. 161 და სხე.).

اسحق باشا ادام الله تعالى اجاله سده سعادتمه مكوب كوندروب¹ تفليس نوادرندن رافع توقيع رفيع الشان خاقاني املاخور اوغلي كيوى (3) حين قحدن برو كمال انقياد و صداقت ايله خدمته بولتوب لزكى اسيا(سند بل و نهار كورى قلعه سنك اطراف و انحاسن كندو اتباعيله محافظه و محاربه و اعانت مسلمين ايلدو كندن غيرى (4) قلعه مزبورهنك رباط اطرافنده كندو ماليله عميق و عريض خندق احفار و نهر كيردن دروته صو اقيدوب كمال مرتبه استحكام برلرئى و جمله نوادرلك اشجعى اولوب و سايرلرك دخى (5) اطاعت و انقيادينه باعث ديكرى اولمغله مالك اولدينى قريه لر خواص همايونه الحاق اولنق اوزره تحرير و مقاطعات دفترينه ادخال اولتوب صغر ايد قالمغله بر موجب (6) رات همايون بروجه معيشت مسفوره و بربلان درت عدد قريه دن ماعدا تفليس سنجاغنده كورى ناحيه سنده سخلوان نام قريه بروجه اوچاقلق توجيه اولنق غابت رجاسنى² (7) عرض استمكن ذكر اولنان سخلوان نام قريه بروجه اوچاقلق مسفور كيوى به توجيه و محلى نوقمى قلعه نصحيح اولتوب صورت اجمال و بربلمكمله ذكر اولنان سخلوان نام قريه (8) بروجه اوچاقلق مسفوره توجيه اولنق ابجون سه اربعين و مائه و الف ذى القعده سنك يكرمى دردنچى كوتنده توجيه اولتوب حكم شريفم و بربلد كدن صكره تذكره سى اخراج اولنق (9) فرمانم اولمغين ذكر اولنان قريه بروجه اوچاقلق مسفوره توجيه اولتوب و بربدمكه ذكر اولنور و شرح و عيان و تفصيل و بيان قلنور قر[به] سخلوان مع مزرعه بح حر(?) كلك تابع كورى

حاصل — ٦٦٨٣٢ و بيوردمكه بعداليوم تحت يندنه (10) اولوب بروجه اوچاقلق متصرف اوله اولبايده افراد افريدن كا ثنا من كان و سبباً من الاسباب و

¹ საბუთის პირის გადმომღებს ასეთ კონტექსტში ეს ჩვეულებრივი სიტყვა გამოარჩენია.

² გადამწერს ამ წინადადების შემასმენელიც გამოარჩენია. **კმალ** مرتبه استحكام برلرئى. **سختكم** ان, **تعمير** و **تعمير** (برلرئى) სიტყვებს უნდა მოსდევდეს (უნდა იყოს) და მხმარე ხმანსთან ერთად. მაშინ ჩვენ გვექნებოდა: „გამაგრებული ადგილები სრულყოფილად“ შეაყვება, ან გამაგრა და სხვ.

³ დედანში, ფიქრობ შეცდომით, წერია.

Handwritten title in Georgian script: **ცხინვალის შესახებ**

Handwritten text in Georgian script, likely a historical document or report. The text is written in a cursive style and covers the majority of the page. It appears to be a detailed account or official communication regarding the region of Tskhinvali.

نوعاً من الانواع و وجهاً من الوجوه هيج فرد مانع و دافع و دخل و تعرض
(11) قلعه لر شوله يلهلر علامت شريفه اعتماد قبله لر

بمقام قسطنطينيه العليه
المحروسه

თარგმანი:

[დამოწმების ფორმულა:] შესაბამისია იმისა, რაც დედანში წერია. გადმოწერა მწირმა ალლაჰისა — დიდება მას და მაღალიმც არს — ქალაქ თბილისის ყაღდმ ალ-სეფაიდ მეჰმედ ტულუმ. შეუნდოს [ალლაჰმა].

პატიოსნის, მაღალღირსეულის, ამაღლებული სამეფო ნიშნისა და ბრწყინვალე, ქვეყნისმპყრობელი სამეფო თუღრის ბრძანება შემდეგია:

პატივმოსილმა დესტურმა¹, დიდებულმა, ქვეყნის მომწესრიგებელმა თბილისის ეალმ, ჩემმა ვეზირმა ისპაჰ ფაშამ² — დღევრდელ ჰყოს მაღალმა ალლაჰმა დიდებულება მისი — ჩემს ბედნიერების კარს³ წერილი გამოუგზავნა, რომ [ამ] მაღალღირსეული სამეფო ფირმანის მქონებელი თბილისის თავადთაგანი ამილახვრისშვილი გივი⁴ (მაგ ქვეყნის| დაპყრობის დროიდანვე სრული მორჩილებითა და ერთგულებით გვემსახურება და გარდა იმისა, რომ ლეკების შემოსევის დროს დღედაღამ თავისივე ხალხით იცავდა გორის-ციხის მიდამოებს, აწარმოებდა ბრძოლებს და დახმარებას უწევდა მუსლიმებს, მან ხსენებული ციხის რაბათის⁵ გარშემო თავისი სახსრებით ღრმა და განიერი ორმო გათხარა და დიდი მდინარიდან შიდა ციხეში წყალი გაიყვანა და გამაგრებული ადგილები სრულყოფილად [შეაკეთა]. სიძამაკით იგი ყველასაგან გამოირჩევა და სხვა თავადების დამორჩილებისა და დაქვემდებარების საქმეში მეორე მოკმედი [ძალაა]. რადგანაც მის მფლობელობაში მყოფი სოფლები სულთნის სახასო [ადგილებთან] გასაერთიანებლად აღიწერა და საიჯარო დავთარში იქნა შეტანილი და იგი [ამილახვრისშვილი] ხელმოკლედ დარჩა და, რადგანაც წყალობის თხოვნა მოგვახსენე იმის შესახებ, რომ ბერათის⁶ შესაბამისად მისთვის სარჩოს წესით მიცემული ოთხი სოფლის გარდა მას ებოდოს სამემკვიდრეოდ თბილისის სანჯაყსა და გორის ნაჰიეში⁷ მდებარე სოფელი ცხინვალი, ამიტომ ხსენებული სოფელი, სახელად ცხინვალი, სამემკვიდრეოდ ებოდოს ზემოხსენებულ გივის და ადგილობრივი ნიშანჯის⁸ კალმით შესწორდეს [სათანადო ბერათი] და მისი შემოკლებული პირი [ამილახვრისშვილს] მიეცეს. [ამგვარად] აღნიშნული სოფელი, სახელად ცხინვალი, ათას ას ორმოც წელს ზნ-ლ-კა'დეს ოცდამეხუთე დღეს [= 1728 წლის 3. VII-ს] სამემკვიდრეოდ ებოძა და, რამდენადაც ჩემი ფირმანი უკვე გამოვიდა და ჩემი პატიოსანი ბრძანების შემდეგ თეჰქერეცუნდა გაიცეს, აღნიშნული სოფელი სამემკვიდრეოდ ზემოხსენებულს ეუბოძე და მიეცეც, რაც აქვე აღნიშნულია, განმარტებულია, ცხადყოფილია, დაწერილებით აღწერილია და გამოცხადებული: „სოფ. ცხინვალი“ كلك [?] حر [?] სათესველთურთ, — ექვემდებარება გორს, ჯუმალი 66.832 [ახჩა]⁹. და ვბრძანე, რომ დღეიდან მის ხელში იყოს, სამემკვიდრეოდ ფლობდეს, არც ერთი, ვინც არ უნდა იყოს, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, როგორადაც არ უნდა იყოს და რა სახითაც არ უნდა იყოს, არავინ მომშლელი და უარისყოფელი არ იყოს,

არავის ხელი არ ჰქონდეს ამაში და არავინ არ წამოედგოს. ასე იცოდნენ, პატროსან ნიშანს ენდონ.

აშალღებულსა და კეთილადდაცულ
კონსტანტინეპოლის რეზიდენციაში.

შენიშვნები:

1. دستور — სპ. *dāstūr* (دست 'ხელი' და ور 'აფიქსი') → არაბიზებული — دستور, თურქ. *düstür*, *destür*-ის სახით გვხვდება (ش. سامی 'قاموس ترکی'). ოსმალურში (ჩვეულებრივად مكرم სიტყვასთან ერთად — دستور مكرم) დიდი ვეზირებისა და ვეზირების პატივისცემის აღმნიშვნელი ტიტულია. ვეზირებსა და დიდვეზირებს იმიტომ ერქვათ *destūr* — *düstūr*-ი, რომ მათ უნდა ემოქმედათ კანონითა და (გარკვეული) წესების მიხედვით (შდრ. *destūr düstūr* — კანონთა კრებული). ზოგჯერ *düstūr-u mükerrem*-ის ნაცვლად *sāhib-i düstūr*-იც (*düstūr*-ის, ე. ი. კანონთა და წესთა [პატრონი და] შემსრულებელი) იხმარება (იხ. M. Z. Pakalın. *Osmanlı Tarih deyimleri ve terimleri sözlüğü*, I, სტამბოლი, 1948, გვ. 487).

2. ისქაქ ფაშა — „1725 წელს ოსმალებმა ქართლის მმართველად ისაყ ახალციხის ფაშა დანიშნეს და მას კახეთის დაპყრობა დაავალეს“, (ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, I, 1944, გვ. 179). ისქაქ ფაშაზე სხვა ცნობები და ლიტერატურა იხ. ჩვენს წერილში: XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III. თბილისი, 1962, გვ. 153-172.

3. ამ დროს ოსმალთა სულთანია აჰმედ III (1703-1730).

4. გივი ამილახვარის შესახებ დაწვრილებითი ცნობები იხ. ჩვენს აქვე დასახელებულ წერილში, გვ. 159.

5. რაბათი — არაბ. رباط — (აქ) 'გამაგრებული ნაგებობა' (შ. სამბე, ლექსიკონი, გვ. 657.)

6. ბერათ — არაბ. برات — სულთნის მიერ გაცემული უზენაესი სიგელი, ფირმანი.

7. ნაჰიდე — არაბ. ناهد — ძველ ოსმალეთში უმცირესი ადმინისტრაციული ერთეული.

8. ნიშანჯი — სპ. *nişān* და თურქ. აფიქსი ci — სულთანთა სასახლეში თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობას შეადგენდა ფირმანისა და ბერათების წერა და, განსაკუთრებით, ასეთი სამეფო საბუთების ზედა ნაწილში დახატვა თულრისა, რომელიც სულთნის ხელმოწერას უდრიდა. ნიშანჯის სხვა სახელები: *tevki'i*, *tuğrai*, *muvakki* (M. Sertoğlu, *Resimli Osmanlı Tarihi Ansiklopedisi*, სტამბოლი, 1958, გვ. 315). ამ საბუთიდან ჩანს, რომ ენალწების კანცელარიებში იყვნენ ნიშანჯიები („ადგილობრივი ნიშანჯის კალმით შესწორდეს“-ო).

С. С. ДЖИКИЯ

ТУРЕЦКИЙ ДОКУМЕНТ ОТНОСИТЕЛЬНО ЦХИНВАЛИ

Резюме

В статье публикуется фирман турецкого султана Ахмеда III (1703-1730), хранящийся в Институте рукописей имени Е. Кекелидзе АН Груз. ССР. Этот фирман адресован грузинскому князю и политическому деятелю Гиви Амилахвари, которому, за большие заслуги перед османским правительством, пожаловано как наследственное владение, в числе прочих, и селение Цхинвали, дающее своему владельцу доход в сумме 66.832 акчей.
